



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2011 წლის 12 იანვრის
 № 383 დადგენილებით

მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 8 ოქტომბრის
 N984 დადგენილებით

ავტომობილის ზეინკალი - 040772

Motor-Vehicle Mechanician

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ავტომობილის ზეინკალი.

პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან:

42 კრედიტი (1050 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის, 18 კრედიტი (450 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.

საკონტაქტო არის 690სთ; დამოუკიდებელი -3044სთ, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56სთ.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ავტომობილის ზეინკალი, რომელსაც შეუძლია ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა და უწყესივრობების აღმოფხვრა.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის დეტალების ურთიერთშეცვლადობის, ჩასმებისა და დაშვებების პრინციპები, აქვს სხვადასხვა ფორმისა და მოდელის ავტომობილების კონსტრუქციის და მათი შეკეთების თავისებურებების ცოდნა. შეუძლია დეტალების და მარტივი კონსტრუქციული ელემენტების ესკიზების შედგენა და მათი წაკითხვა ნახაზების მიხედვით, კვანძის აწყობა ტექნიკური პირობების სრული დაცვით; იცნობს სამუშაოთა შესრულების ოპერაციულ სისტემას და მომსახურების რეჟიმებს, შრომის ორგანიზაციას და სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობის პრინციპებს; აქვს მეწარმეობისა და ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა.</p>
-------------------------------------	--	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p><i>შეუძლია</i> ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა; დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ოპერატორის მიერ გამოვლენილი უწყესივრობების აღმოფხვრა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გრაფიკის შედგენა; ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში მტყუნებების აღრიცხვა და დაჯგუფება; 1-2 საფეხურის ავტოზეინკლების ბრიგადის სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების პოსტის პასპორტის შედგენა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p><i>შეუძლია</i> ტექნიკური მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისას ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება, შეფერხებებისა და წინაღობების მიზეზების ანალიზი და სათანადო პროფილაქტიკური სამუშაოების წარმართვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულსაკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p><i>აქვს უნარი აწარმოოს</i> ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება კომპიუტერული კომპეტენციების სისტემის ფარგლებში. შეუძლია ავტომობილის შემკეთებელი ზეინკლის პროფესიასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე გამართული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია. შეუძლია მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში. იყენებს დარგის პროფესიულ, პროგრამულ უზრუნველყოფას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p><i>აქვს უნარი</i> ახალი სასწავლო პროგრესული მიმართულებების ათვისების პროცესში გაითვალისწინოს ზეინკლისადმი წაყენებული მოთხოვნები კონტროლის, დიაგნოსტიკის და უწყესივრობების აღმოფხვრის მხრივ.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p><i>აქვს</i> ოპტიმიზირებული ტექნოლოგიური პროცესის დანერგვის ოპერატიულად გადაწყვეტის უნარი, კოლეგების მობილიზება, მათი აქტივობის გაზრდა და მაღალი პასუხისმგებლობით შესრულება.</p>

VIII. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით ავტომობილის ზეინკალი არის ავტოსარემონტო სამსახურის პერსონალი, რომელიც მუშაობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობის მეთვალყურეობის ქვეშ.

დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობასა და მოითხოვენ ავტომშემკეთებლების მრავალმხრივ პროფილიზაციას.

IX. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	კოდი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინფორმატიკა 1	INF1P08	X	X		X		
ინგლისური ენა B1	ENG4P07	X	X		X		
მეწარმეობის საფუძველი	BAOEN05	X	X	X			
ავტომობილის მოწყობილობა	CAROPO5	X	X			X	X
ავტომობილის ტექნიკური ექსპლუატაცია და რემონტი	ATEXPO5	X	X	X	X	X	X
ავტოსერვისის მოწყობილობა	MVSDPO5	X	X				
შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება	MPES PO5		X				

X. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ინფორმატიკა 1	INF1P08	5	/60				6/2	57	125
ინგლისური ენა B1	ENG4P07	5	/60				6/2	57	125
მეწარმეობის საფუძველი	BAOEN05	5	30/30				6/2	57	125
ავტომობილის მოწყობილობა	CAROPO5	15	45/30	105		150	6/2	37	375
ავტომობილის ტექნიკური ექსპლუატაცია და რემონტი	ATEXPO5	15	45/30	105		150	6/2	37	375
ავტოსერვისის მოწყობილობა	MVSDPO5	10	30/15	45		120	6/2	32	250
შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება	MPES PO5	5	15/15	30		30	6/2	27	125
სულ		60	405	285		450	42/14	304	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე -18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიტი დავალება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
 პრაქტიკული მეცადინეობა;
 ლაბორატორიული სამუშაო;
 საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერიტი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინფორმატიკა 1	ლ. შავერდაშვილი	პედაგოგი
ინგლისური ენა B1	მ. დევრისაშვილი	პედაგოგი
მეწარმეობის საფუძველი	ი. მარგალიტაძე	ბიზნესის-ადმინისტრირების სპეციალისტი
ავტომობილის მოწყობილობა	დ. ფრიდონაშვილი ზურიკაშვილი მიხეილი	ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერი
ავტომობილის ტექნიკური ექსპლუატაცია და რემონტი	ჯ. ხმიდაშვილი ნ. თოფურია შ. ბაშარული	ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერი ინჟინერი
ავტოსერვისის მოწყობილობა	ვ. ჯაჯანიძე მ. ზურიკაშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერი
შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება	ნ. დიასამიძე ხ. მღებრიშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომობილის შემკეთებელი ზეინკლის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სახელოსნოები, I, VII კორპუსი.
სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები).

XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა: იხილეთ დანართი 3

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	დავით ფრიდონაშვილი
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	მანანა მოისწრაფიშვილი
ფაკულტეტის დეკანი	ოთარ გელაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
19 აპრილი 2012 წ.
მომზადებულია პროექტი მოდიფიცირების მიზნით ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად

მიღებულია

მოდიფიცირებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე,
ოქმი N1, 20. 09. 2013წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან